2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ჯგუფის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფადბრუნვად მარაგებს. ისეთი პროდუქცია რომელსაც ახასიათებს შენახვის მოკლე ვადები ან საჭიროებს სპეციალურ შენახვას, კორექტირებულია და ჩამოწერილი იმ საანგარიშო პერიოდში რა დროსაც მოხდა მისი გაუფასურება შესაბამისი მიზეზების გამო.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან

დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგრვა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. შესაბამისად, ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ ვალდებულებებთან ან დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს წარადგენს თითოეული საწარმოს მიხედვით, წმინდა საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა, და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/ სხვა ხარჯების ნაწილში.

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლოს შემოსვლას ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

პერიოდის ცვლის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში ღირებულებაზე მათი განაწილებით:

- | | |
|--|--------------|
| • შენობა-ნაგებობები | • 20-30 წელი |
| • მანქანა დანადგარები | • 5-10 წელი |
| • სამედიცინო ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი | • 5-10 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | • 5-10 წელი |
| • სხვა ძირითადი საშუალებები | • 5-10 წელი |

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი ჯგუფი ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საკუთარი კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლივიდენდები

ლივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. ლივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული ლივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გამსესხებლისთვის გადასახდელი ფულის რაოდენობის მიმდინარე ღირებულება, გარიგების ხარჯების ჩათვლით). მიღებული სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და წარდგენილია ფინანსურ ხარჯებში.

სესხით მომსახურებაზე განხორციელებული გადახდები (საპროცენტო ხარჯი) აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდის დანახარჯზე რომელშიც მოხდა მისი გაწევა.

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით. მიღებული სესხები შედგება საკრედიტო ინსტიტუტისგან მიღებული საკრედიტო ხაზისგან, რომლის მიღებაც და გადახდაც ხორციელდება ლიმიტის ფარგლებში ათვისებული თანხების პროპორციულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას, რომელიც წარმოქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან ვალდებულებებს და არც ერთი მათგანს არ გააჩნია 12 თვეზე მეტი გადახდის პირობა.

შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან

შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება შესრულებული მომსახურების კორექტირებებით. საანგარიშო პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამედიცინო მომსახურების გაწევიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლის მთავარი ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საყოველთაო დაზღვევით მოსარგებლე პირები.

სამედიცინო მასალების და მომსახურების ხარჯები

პერიოდის ხარჯი მოიცავს სამედიცინო და კვლევითი მომსახურების გაწევაზე გახარჯული მარაგების თვითღირებულებას პირდაპირ ხელფასებს და სამედიცინო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ და მიკუთვნებულია იმ პერიოდის ხარჯებს, რა პერიოდის შემოსავლების გენერირებაც მოახდინა.

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ცხრილში მოცემულია საანგარიშო პერიოდებში დაფინანსების შესაბამისად მიღებული შემოსავლები, რომელშიც
 კორექტირებულია შესრულებების მიხედვით.

შენიშვნა 3 - შემოსავალი	2024	2023
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	6 092 724	4 942 938
ფიზიკური პირები	3 057 440	3 047 184
დაზღვევის ერთიანი ფონდი	1 486 018	1 548 087
კერძო სადაზღვეო კომპანიები	827 669	879 143
შემოსავალი კვლევიდან	1 331 429	965 420
სხვა	1 502 523	908 744
სულ შემოსავალი	14 297 802	12 291 516

შენიშვნა 4 - სამედიცინო მასალების და მომსახურების ხარჯები	2024	2023
ლაბორატორიული კვლევების ხარჯები	875 371	797 168
პირდაპირი ხელფასები	8 192 925	7 524 354
მედიკამენტების ხარჯები	1 776 601	1 595 483
სხვა სამედიცინო მომსახურების ხარჯები	274 762	251 310
სულ სამედიცინო მასალების და მომსახურების ხარჯები	11 119 660	10 168 314

შენიშვნა 5 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
სამეურნეო ხარჯები	266 565	287 528
საპენსიო ხარჯები	73 163	66 023
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	27 848	37 487
საკანცელარიო ხარჯები	30 169	28 482
კომპიუტერის ხარჯები	6 604	12 493
საბანკო ხარჯები	2 031	2 361
სხვა საერთო ხარჯები	212 969	182 201
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	619 350	616 577

შენიშვნა 6 - ფინანსური ხარჯები	2024	2023
საპროცენტო ხარჯები	361 903	236 464
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინა ზარალი	13 411	17 203
სულ ფინანსური ხარჯები	375 314	253 667

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 7 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	სამედიცინო ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა, ავჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება	6 100 874	-	8 205 243	396 843	1 429 500	805 277	609 565	719 142	18 266 443
ცვეთა	-	-	(982 846)	(129 778)	(618 440)	(482 198)	(124 634)	(323 757)	(2 661 653)
ბალანსი 31/12/2022	6 100 874	-	7 222 397	267 065	811 060	323 079	484 931	395 386	15 604 790
დანამატები	-	1 387 928	-	-	2 432 534	-	23 789	216 678	4 060 928
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	-	(1 212 131)	-	(102 055)	-	(1 314 186)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(412 288)	(59 526)	(249 403)	(161 231)	(78 316)	(383 041)	(1 343 806)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	66 294	232 011	298 305
ბალანსი 31/12/2023	6 100 874	1 387 928	6 810 108	207 538	1 782 059	161 847	394 642	461 033	17 306 031
დანამატები	-	1 098 515	-	-	197 570	6 325	-	204 533	1 506 943
აქტივის ჩამოწერა	-	-	-	-	(110 920)	-	-	-	(110 920)
ცვეთა პერიოდისთვის	-	-	(412 288)	(59 526)	(332 897)	(161 432)	(79 108)	(137 872)	(1 183 124)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2024	6 100 874	2 486 443	6 397 820	148 012	1 535 813	6 740	315 534	527 694	17 518 931
ბალანსი 31/12/2023	6 100 874	1 387 928	6 810 108	207 538	1 782 059	161 847	394 642	461 033	17 306 031
ბალანსი 31/12/2024	6 100 874	2 486 443	6 397 820	148 012	1 535 813	6 740	315 534	527 694	17 518 931

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

შენიშვნა 8 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები	31.12.2024	31.12.2023
სამედიცინო მარაგები	471 831	391 834
სხვა მარაგები	458 271	468 199
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	930 103	860 032

სხვა მარაგები მოიცავს ისეთ სამედიცინო ინვენტარს, რომლის გამოყენებაც ხორციელდება უწყვეტად სამედიცინო მომსახურების გაწევისას და ამავდროულად მას არ გააჩნია ერთ წელზე მეტი ვადით გამოყენების შესაძლებლობა.

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებიდან	2 188 514	2 036 259
გადახდილი ავანსები	240 858	404 559
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24 646	22 482
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(43 815)	(37 650)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2 410 204	2 425 649

სავაჭრო მოთხოვნების არსებით ნაწილი წარმოქმნილია ჯანდაცვის სამინისტროს მიმართ, რომელსაც არ გააჩნია გრაფიკით გაწერილი ანაზღაურების ვადები, რის გამოც ხშირ შემთხვევაში გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი ანაზღაურების მიღება ხორციელდება ვადაგადაცილებით. ამის გამო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ჯამური მოთხოვნის გაუფასურება და მისი ხარჯად აღიარება.

	31.12.2024	31.12.2023
1 იანვარი	(37 650)	(36 320)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(6 165)	(1 330)
31 დეკემბერი	(43 815)	(37 650)

შენიშვნა 10 - ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2024	31.12.2023
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	11 913	159 525
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	536 913	452 267
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	548 825	611 792

შენიშვნა 11 - სასესხო ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი საბანკო სესხები	2 193 881	2 352 514
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	348 770	295 487
გადასახდელი პროცენტები	9 643	10 227
სულ სასესხო ვალდებულებები	2 552 294	2 658 229

სესხები მიღებულია საფინანსო დაწესებულებიდან შესაბამისი ვადით და მათი მიზნობრიობა არის საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება.

გამსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	გაცემის თარიღი	დახურვის თარიღი	31.12.2024	31.12.2023
სს თიბისი ბანკი	GEL	13.90%	30/03/2023	23/03/2030	2 190 137	2 256 634
სს თიბისი ბანკი	GEL	13.00%	15/09/2023	15/09/2030	352 514	391 368

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერიოდის განმავლობაში სესხების მოძრაობა იყო შემდეგი:

	2024	2023
ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	2 658 229	350 000
მიღებული ფულადი სახსრები	190 500	2 809 500
გადახდილი ძირი თანხა	(295 851)	(511 498)
სესხზე დარიცხული პროცენტი	361 903	236 464
გადახდილი პროცენტი	(362 487)	(226 237)
სულ ნასესხები სახსრები	2 552 294	2 658 229
მიმდინარე ნაწილი	358 413	295 487
გრძელვადიანი ნაწილი	2 193 881	2 362 742

შენიშვნა 12 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები	3 678 321	3 400 642
მიღებული ავანსები	376 711	423 436
გადასახდელი ხელფასები	1 119 975	870 298
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5 175 007	4 694 376

13. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ არსებული წაყენებული არსებითი პრეტენზიები და სასამართლო დავები იდენტიფიცირებული არ არის. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა ასე გარე კონსულტაციების საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არანაირი საფუძველი შესაძლო სასამართლო პროცესის დაწყების, რომელიც გავლენას იქონიებს წარდგენილ ანგარიშგებაზე იდენტიფიცირებული არ არის.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შესაძლოა დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგარძელება)

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციები მოიცავს წამყვან მენეჯმენტზე გაცემულ სახელფასო ანაზღაურებას, რომელმაც 2024 წელს შეადგინა 751,346 ლარი, ხოლო 2023 წელს 796,849 ლარი.

15. ჯგუფის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარს და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებას, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება აჩვენებს, რომ წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ასევე ფულადი ნაკადების შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან წარმოადგენს დადებით შედეგს, რომელიც გაზრდილია წინა პერიოდთან შედარებით. წინამდებარე ანგარიში მომზადდა 2025 წლის სექტემბერში და ფაქტია, რომ ჯგუფს საქმიანობა არ შეუწყვეტია და არც საქმიანობის მასშტაბი შეუმცირებია, ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით ჯგუფს აქვს ზრდის დინამიკა. ზემოთ აღწერილი ყველა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ჯგუფი ფუნქციონირებად საწარმოს წარმოადგენს. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში ჯგუფში მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპერაციები არ განხორციელებულა, რომელიც შესაძლოა საჭიროებდეს ფინანსურ ანგარიშგებაში დაამატებთ წარდგენას.

შპს უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი

შპს „უროლოგიის და ნეფროლოგიის ცენტრი“ წარმოადგენს შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“-ს მშობელ საწარმოს რომელიც დამოუკიდებლად არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას და საანგარიშო პერიოდში მისი აქტივობა წარმოადგენს მხოლოდ შვილობილი საწარმოსგან მიღებული დივიდენდების განკარგვას. შესაბამისად წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის-ს მართველობით ანგარიშს რადგან მშობელი საწარმო დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებს.

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“ ყველაზე დიდი და ძველი კლინიკური, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებაა უროლოგიური და ნეფროლოგიური პაციენტებისათვის მთელ საქართველოში. კლინიკა დაარსდა 1959 წელს და 2020 წლამდე ატარებდა დამაარსებლის აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელს, დღეისათვის სამედიცინო დაწესებულება საქართველოს უროლოგიის სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოსის, არაერთი წოდებისა და ჯილდოს მფლობელი ლავრენტი მანაგაძის სახელობისაა.

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“ უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას უროლოგიისა და ნეფროლოგიის ყველა სფეროში, გარდა ამისა, იგი არის უდიდესი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულება. ცენტრში ყოველწლიურად მიმდინარეობს რამდენიმე საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი უროლოგიის, ნეფროლოგიისა და ტრანსპლანტოლოგიის დარგში. ეს უზრუნველყოფს ცენტრის სამედიცინო პერსონალის უწყვეტ სამედიცინო განათლებას და ჩვენი პაციენტების მომსახურების ყველაზე თანამედროვე ხარისხს.

სამედიცინო დაწესებულებაში მოქმედებს რეზიდენტურის პროგრამა უროლოგიასა და ტრანსპლანტოლოგიაში, რომლის ფარგლებშიც თეორიულ და პრაქტიკულ განათლებას იღებს საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები. კლინიკაში დასაქმებულია მაღალი კვალიფიკაციის მქონე, განათლებული და წარმატებული ექიმები, მოწინავენი ამიერკავკასიაში უროლოგიისა და ნეფროლოგიის დარგში, თითოეულ მათგანს გავლილი აქვს მომზადების უმაღლესი სკოლა და პროფესიონალები არიან საკუთარ დარგში. აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებზე, კონგრესებსა თუ სიმპოზიუმებზე, შესაბამისად მუდმივად ეცნობიან სიახლეებს, ჩართულნი არიან სამეცნიერო საქმიანობაში და იმაღლებენ ცოდნას.

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ საქმიანობის მიზანია საქართველოს ჯანდაცვის სექტორში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება, რაც უზრუნველყოფს კლინიკის ლიდერი პოზიციების განმტკიცებას სამედიცინო სექტორში და ტექნოლოგიური თვალსაზრისით მუდმივად ინოვაციების დანერგვას. კლინიკა სრულად ორიენტირებულია მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და თანამშრომლებისთვის საუკეთესო სამუშაო პირობების შექმნაზე, რაც გულისხმობს მათი პროფესიული განვითარების, განათლებისა და პიროვნული ზრდის ხელშეწყობას.

სამედიცინო დაწესებულება შედგება დიაგნოსტიკური, კლინიკური და ადმინისტრაციული ერთეულებისაგან და თითოეული განყოფილება აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. სამედიცინო სტანდარტების შესაბამისადაა ორგანიზებული ამბულატორია, მიმღები და დიაგნოსტიკური განყოფილებები. ცენტრის კლინიკური ნაწილი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან: უროლოგიის (მათ შორის ბავშვთა), ნეფროლოგიის, დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის, ონკოლოგიის, ინტენსიური თერაპიის,

ანესთეზიის განყოფილებებისა და საოპერაციო ბლოკისაგან. კლინიკაში ტარდება სრულყოფილი დიაგნოსტიკური კვლევები, როგორიცაა: კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრასონოგრაფია და დოპლეროგრაფია, რენტგენოლოგია, უროდინამიკა, კლინიკური, ბაქტერიოლოგიური, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული და მორფოლოგიური კვლევების სრული სპექტრი.

კლინიკის ხედვა, მისია და ღირებულებები

ხედვა

მპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ ხედვაა საქართველოში მიღებული და აღიარებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი სრულად პასუხობდეს ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, ხოლო უროლოგიის ეროვნული ცენტრი იყოს წამყვანი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს მაღალი ნდობა და აღიარება, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ჩვენი ხედვაა კვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურებით არსებული დადებითი ისტორიული იმიჯის შენარჩუნება და მუდმივი წინსვლა.

მისია

მპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ საქმიანობის მისიაა უზრუნველყოს პაციენტების უმაღლესი ხარისხის სამედიცინო მომსახურება უროლოგიისა და ნეფროლოგიის ყველა სფეროში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებასა და განვითარებაში, ასევე ხელი შეუწყოს პრობითი ბაზრის შევსებას კვალიფიციური სამედიცინო პერსონალით, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო დონეზე. სამედიცინო დაწესებულების უპირველესი დანიშნულებაა მომხმარებელთა, უსაფრთხო, კომფორტული და ხარისხიანი მომსახურება, მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების შესაბამისად. მომხმარებელთა ხარისხიანი მომსახურებით კი ღირსეული წვლილის შეტანა სამედიცინო სექტორის განვითარებაში.

ღირებულებები

მპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“ უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელობს სამედიცინო დაწესებულების საქმიანობაში ჩართული პერსონალის ინტერესებით და სამუშაოს წარმართავს ისეთ პრინციპებზე დაყრდნობით, როგორიცაა: მიუკერძოებლობა, თანასწორუფლებიანობა, სამართლიანობა, უწყვეტი განვითარება, პროფესიონალიზმი, თანამშრომლობა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. კლინიკა ორიენტირებულია მომხმარებლებისა და დასაქმებული პერსონალის კეთილდღეობაზე, მშვიდი და თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნაზე. სამედიცინო დაწესებულება უზრუნველყოფს დაიცვას კანონმდებლობა და არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც რაიმე ფორმით ზიანს მიაყენებს საქართველოს ჯანდაცვის სისტემასა და ზოგადად სამედიცინო სექტორს.

სამედიცინო დაწესებულების მთავარი ღირებულებაა ადამიანი, ვინც ქმნის ორგანიზაციას, მის შესახებ დადებით ან უარყოფით წარმოდგენას, ვისთვისაც ხდება პროდუქტისა და მომსახურების მიწოდება, შესაბამისად საქმიანობის მთავარი პრინციპია თანასწორუფლებიანი, მშვიდი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს გამართული სისტემის ჩამოყალიბებასა და კლინიკის წარმატებულ საქმიანობას.

ორგანიზაციული სტრუქტურა

მპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ პოლიტიკის თანახმად ღირუქტორატი წარმოადგენს მმართველობით ორგანოს გენერალური ღირუქტორის ხელმძღვანელობით. მის დაქვემდებარებაში არიან:

- ღირუქტორი ხარისხის მართვის დარგში;
- ღირუქტორი სამეცნიერო დარგში;
- აღმასრულებელი ღირუქტორი;
- ღირუქტორი სამედიცინო დარგში;

- დირექტორი სამეურნეო-ტექნიკურ დარგში.

გენერალური დირექტორის პირდაპირ დაქვემდებარებაშია ასევე კლინიკის იურისტი, ფინანსური სამსახური და კლინიკური მენეჯერი. თითოეული მათგანი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე, ასრულებენ მის ბრძანებებს, განკარგულებასა და მითითებებს. გენერალური დირექტორი იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას სამედიცინო დაწესებულების საქმიანობის, ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ, შესაბამისად ნებისმიერი ქმედებისას, რაც დაკავშირებულია კლინიკის საქმიანობასთან და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სამედიცინო დაწესებულებაზე უთანხმებენ უშუალოდ მას.

გენერალური დირექტორი უზრუნველყოფს სამედიცინო დაწესებულების ყველა განყოფილების, მთელი პერსონალისა და პირველ რიგში კლინიკის დირექტორატის გამართულ საქმიანობას, მოითხოვს სამუშაო პროცესის კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობით, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებით წარმართვას.

ხარისხის მართვის სამსახურის შესახებ

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი“ 2023 წლიდან ხარისხის მართვის სისტემის სრულიად ახალ საფეხურზე გადავიდა და დღეისათვის **American Accreditation Commission International (AACI)** აკრედიტაციის მიმართულებით ვითარდება, რომლის მთავარი იდეაა მართე რისკები და გადაარჩინე სიცოცხლე (**Ruling Risk, Saving Lives**). შესაბამისად ხდება მის დანერგვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება და სხვადასხვა ტიპის აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამოყალიბების პროცესი წარმატებით დასრულებულია და საჭიროებისამებრ გაგრძელდება. სამედიცინო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახური არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, კლინიკის შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, წინამდებარე დებულებით და სხვა სამართლებრივი წესდებით, ხოლო ნებისმიერი ქმედებისას ანგარიშვალდებულია სამედიცინო დაწესებულების გენერალური დირექტორის წინაშე.

სამედიცინო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახური საკუთარი საქმიანობისას იყენებს **ISO 9001:2015** სტანდარტის პროცესებზე და რისკების შეფასებაზე დაფუძნებულ მიდგომას და აერთიანებს **PDCA** ციკლს. (**Plan-Do-Check-Act/დაგეგმვა-კეთება-შემოწმება-ქმედება**). PDCA ეს არის ეფექტიანი მართვის უწყვეტი მოდელი, სადაც თითოეული პროცესი არის წინას გაგრძელება და ამით იქმნება უწყვეტი კავშირი, რომლის მეშვეობითაც ხდება ოთხივე საფეხურის თანმიმდევრულად გავლა.

სამედიცინო დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახური კლინიკის საქმიანობის შეფასებისას ასევე აქტიურად აწარმოებს **SWOT** ანალიზს, რაც გულისხმობს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განსაზღვრას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას.

კლინიკური სფერო მოიცავს ინოვაციურ და ახალ მიდგომებს პაციენტთა მკურნალობის, ოპერაციათა და შემდგომი რეაბილიტაციის საკითხებში. სამედიცინო ნაწილი სრულად პასუხობს ქართული სამედიცინო სექტორის გამოწვევებსა და ორიენტირებულია მუდმივი განვითარებისაკენ, შესაბამისად სრულად იზიარებს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების **STEEP**-ის მიდგომებს, რომელიც გულისხმობს:

- **Safe (უსაფრთხოება)** - პაციენტისათვის ზიანის არიდება;
- **Timeliness (დროულობა)** - მოცდის და დახმარების გაწევის შეფერხების დროის შემცირება;
- **Effectiveness (ეფექტიანობა)** - მეცნიერულად დადასტურებული მიდგომების გამოყენება დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში (ზედმეტი ან არასაკმარისი გამოყენების გარეშე);
- **Efficiency (ეკონომიურობა)** - შრომის დანახარჯებისა და მასალების, ენერგიისა და აღჭურვილობის ექსპლუატაციის ხარჯების მინიმუმამდე შემცირება;
- **Equality (თანასწორობა)** - ერთნაირი ხარისხის სამედიცინო მომსახურების გაწევა, განურჩევლად პაციენტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სქესის, ასაკისა და ა.შ;

- Patient-Centered (პაციენტზე ორიენტირებული) - ყველა კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის მოსაზრებების პატივისცემა და სურვილების გათვალისწინება.

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1: ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2: ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3: მომხმარებელთა კონტინგენტის დაგეგმვა

სტრატეგიული მიზანი 4: ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობის დანერგვა

სტრატეგიული მიზანი 5: საზოგადოებასთან კავშირის განვითარება

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ შიდა და გარე რისკები

სამედიცინო დაწესებულებაში ცალკე დოკუმენტად გაწერილი და შეფასებულია შემდეგი ტიპის რისკები:

- ✓ ტექნოლოგიური-ტექნიკური;
- ✓ ქონებრივი;
- ✓ ორგანიზაციული-მმართველობითი;
- ✓ ადამიანური რესურსების რისკი;
- ✓ სამართლებრივი;
- ✓ შრომის უსაფრთხოება;
- ✓ პროფესიული (სამედიცინო);
- ✓ საბაზრო (ფინანსური და არაფინანსური რისკები);
- ✓ ეკონომიკური;
- ✓ ბუნებრივი-ეკოლოგიური და ა.შ.

თითოეული რისკი ჩაშლილია დეტალურად, შესაბამისად განსაზღვრულია რისკის მართვის შესაძლებლობები, განსაზღვრულია რისკის ალბათობა, პოტენციური შედეგი და რისკის დონე. საუბარია რისკების და შესაძლებლობების მართვაზე მიმართულ ქმედებებზე, სადაც განაწილებულია რისკის მართვის პასუხისმგებლობა შესაბამის პირებზე.

დირექტორი: თეიმურაზ სინჯიაშვილი

თარიღი: 15 სექტემბერი, 2025

- **Patient-Centered** (პაციენტზე ორიენტირებული) - ყველა კლინიკური გადაწყვეტილების მიღებისას პაციენტის მოსაზრებების პატივისცემა და სურვილების გათვალისწინება.

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ სტრატეგიული მიზნები

სტრატეგიული მიზანი 1: ხარისხის მართვის სისტემის მუდმივი განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2: ადამიანური და ფინანსური რესურსების განვითარება

სტრატეგიული მიზანი 3: მომხმარებელთა კონტინგენტის დაგეგმვა

სტრატეგიული მიზანი 4: ხარისხზე ორიენტირებული საქმიანობის დანერგვა

სტრატეგიული მიზანი 5: საზოგადოებასთან კავშირის განვითარება

შპს „ლ. მანაგაძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ შიდა და გარე რისკები

სამედიცინო დაწესებულებაში ცალკე დოკუმენტად გაწერილი და შეფასებულია შემდეგი ტიპის რისკები:

- ✓ ტექნოლოგიური-ტექნიკური;
- ✓ ქონებრივი;
- ✓ ორგანიზაციული-მმართველობითი;
- ✓ ადამიანური რესურსების რისკი;
- ✓ სამართლებრივი;
- ✓ მრომის უსაფრთხოება;
- ✓ პროფესიული (სამედიცინო);
- ✓ საბაზრო (ფინანსური და არაფინანსური რისკები);
- ✓ ეკონომიკური;
- ✓ ბუნებრივი-ეკოლოგიური და ა.შ.

თითოეული რისკი ჩაშლილია დეტალურად, შესაბამისად განსაზღვრულია რისკის მართვის შესაძლებლობები, განსაზღვრულია რისკის აღბათობა, პოტენციური შედეგი და რისკის დონე. საუბარია რისკების და შესაძლებლობების მართვაზე მიმართულ ქმედებებზე, სადაც განაწილებულია რისკის მართვის პასუხისმგებლობა შესაბამის პირებზე.

დირექტორი: თეიმურაზ სინჯიაშვილი

თარიღი: 15 სექტემბერი, 2025

თ.

